

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №12 დეკემბერი 2014 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

4 დეკემბერი – ტაძრად მიყვანება ყოვლაწმიდისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება. ყოვლადწმიდა მარიამის მშობლებმა, იოაკიმემ და ანამ ისე მიაღწიეს მოხუცებულობას, რომ შვილი არ გასჩენიათ. ისინი მხურვალედ ევედრებოდნენ უფალს შვილიერებას, თან აღთქმა დადეს, რომ თუ თხოვნა შეუსრულდებოდათ, შვილს ღმერთს შესწირავდნენ. ზეცით მეუფემ შეისმინა მართალი თანამეუღლეების ლოცვა და მათ ასული უბოძა.

როცა მარიამს სამი წელი შეუსრულდა, იოაკიმემ და ანამ ღვთისთვის მიცემული აღთქმა შეასრულეს: უხმეს ნათესავ-ახლობლებს, ყოვლადწმინდა ქალწული საუკეთესო სამოსლით შემოსეს და გალობითა და ანთებული სანთლებით მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში. აქ მარიამს მღვდელმთავარი ზაქარია შეეგება მღვდელმსახურთა სიმრავლის თანხლებით. ტაძარს თხუთმეტსაფეხურიანი კიბე ჰქონდა. მისი ავლა ყრმას თავისით თითქოს არ შეეძლო, მაგრამ როცა მარიამი პირველ საფეხურზე დაადგენეს, მან, ღვთის მადლით ფრთებშესხმულმა, დანარჩენი თოთხმეტი საფეხურიც სწრაფად აირბინა და საყდარში შევიდა. ზეგარდამო შთაგონებით მღვდელმთავარმა ნეტარი ასული წმიდათაწმიდაში შეიყვანა, სადაც მხოლოდ მღვდელმთავარი შედიოდა, ისიც წელიწადში ერთხელ.

ყოვლადწმინდა მარიამი ტაძარში დამკვიდრდა. იგი გამუდმებით ლოცულობდა, გულმოდგინედ კითხულობდა წმინდა წერილს, ხელსაქმობდა და ემსახურებოდა სნეულებს.

როცა ადრე დაობლებულმა მარიამმა სრულწლოვანებას მიაღწია, მან, პირველმა დედათა შორის, თავი უფალს განუკუთვნა და ღვთის მადლით, მაცხოვრის დედად შეიქმნა.

19 დეკემბერი — მირონ ლუკიის მთავარეპისკოპოსი, საკვირველთმოქმედი წმ. ნიკოლოზი

წმიდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედი ლუკიის ოლქის ქალაქ პათარში დაბადა. მის კეთილმსახურ მშობლებს — თეოფანეს და ნონას — შვილი დიდხანს არ ეძლეოდათ. მათ აღთქმა დადეს ღვთის წინაშე, რომ თუ შვილი მოეცემოდათ ნანატრ შვილს უფალსვე შესწირავდნენ. ბოლოს წრფელი გულით აღვლენილი ლოცვა შესმენილ იქნა და ნონამ შვა ძე, რომელსაც ნიკოლოზი დაარქვეს. წმინდანმა დაბადებისთანავე აღასრულა პირველი სასწაული, დედამისი ხანგრძლივი სნეულებისაგან განიკურნა. ახალშობილი ყრმა ნათლისღებისას ემბაზში ფეხზე იდგა ყველას დაუხმარებლად. წმ. ნიკოლოზმა მარხვაც ჩვილობაში დაიწყო: ოთხშაბათობითა და პარასკეობით მხოლოდ ერთხელ ღებულობდა დედის რძეს.

წმიდა ნიკოლოზი როგორც სიცოცხლეში, მიცვალების შემდეგაც ურიცხვ სასწაულებს აღასრულებს: „ვერავინ შემძლებელ არს აღრაცხად მათდა: რავდენნი სნეულნი განკურნა, ანუ რავდენნი ეშმაკეულნი განათავისუფლნა და რავდენთა ჭირვეულთა მსწრაფლ შეეწია“...

13 დეკემბერი – წმ. ანდრია პირველწოდებული



წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული მოციქულთაგან პირველი შეუდგა ქრისტეს. ანდრია ბეთსაიდაში დაიბადა. ის თავიდან იყო იოანე ნათლისმცემელის მოწაფე. იესოს გამოჩენისას წმ. იოანემ ანდრია და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: „აჰა ტარიგი ღმრთისაი“. ამ სიტყვებზე ორივე თან გაჰყვა მაცხოვარს.

შემდეგ მან თავისი ძმა პეტრეც მიიყვანა იესოსთან. მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა“, ღვთისმშობელს საქართველოს მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გააგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით ხელში. ყოვლადწმინდა ქალწულმა მოუწოდა წმინდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, „დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა“. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი.

ნეტარი ანდრია საქადაგებლად ქალაქ ტრაპიზონის გავლით წავიდა, „რომელი არს სოფელი მეგრელთა“. აქ დაჰყო მცირედი ჟამი, შემდეგ კი შევიდა დიდ-აჭარაში და დაიწყო ქადაგება. ის ახდენდა სასწაულებს. სადაც მან ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, იქ დიდი წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება. წმ. ანდრია ნათელს სცემდა. ახლადმოქცეულებს დაუდგინა მღვდელი და დიაკვნები. აუგო ყოვლდაწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დააბრძანა.

წმ. ანდრიამ რამდენიმე ხანი დაჰყო აწყურში ღვთის სიტყვის ქადაგებით. აქაც მოაწყო ეკლესია და მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა. ამის შემდეგ დაბრუნდა იერუსალიმში. იერუსალიმიდან წმ. ანდრია მეორედ დაბრუნდა საქართველოში სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად. სვიმონ კანანელი აღესრულა აფხაზეთში მატათა-აჭარაში. წმ. მოციქული სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ რუსეთშიც ყოფილა.

უკანასნელი ქალაქი, სადაც მან იქადაგა, იყო პატრები — (საბერძნეთი). ამ ქალაქში იგი ჯვარს აცვეს და ტანჯვის გასახანგრძლივებად ქალაქის მმართველმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმნათ, დაეკიდათ ნეტარი. ის ჯვარზე აღესრულა.

რამდენიმე ასწლეულის შემდეგ, კონსტანტინე დიდის ზეობისას, წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით გადაასვენეს კონსტანტინეპოლში და წმიდა მოციქულთა ტაძარში დააბრძანეს ლუკა მახარებლისა და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა გვერდით.

17 დეკემბერი — წმიდა დიდმოწამე ბარბარე

წმიდა დიდმოწამე ბარბარე იმპერატორ მაქსიმილიანე გალერიუსის დროს ეწამა ქრისტესთვის. მამამისი, მდიდარი და დიდებული წარმართი დიოსკორე ქალაქ ოლიოპოლში ცხოვრობდა. იგი ადრე დაქვრივდა და მეუღლისაგან ერთადერთი შვილი — ბარბარე დარჩა. დიოსკორეს ძალიან უყვარდა ასული და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ხედავდა რა ბარბარეს გასაოცარ მშვენიერებას, მან გადაწყვიტა, ნეტარი გარეშე თვალთაგან ფარულად აღეზარდა: მაღალი კოშკი ააგო, ასული შიგ გამოკეტა და წარმართი აღმზრდელების გარდა მასთან არავის უშვებდა.

გოდოლში გამომწყვდეული წმინდანი თანდათან იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ სამყაროს უეჭველად ერთი შემოქმედი უნდა ჰყოლოდა. ერთხელ წმიდა ბარბარემ ქრისტიანი ქალწულები გაიცნო და მათგან სამებით თაყვანისცემული ერთი ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ შეიტყო ღვთის განგებით.

იმავე ხანებში ჩავიდა ოლიოპოლში ალექსანდრიელი ხუცესი, რომელმაც მონათლა წმიდა ქალწული, ბარბარემ ქალწულობის აღთქმა დადო და გადაწყვიტა, სიცოცხლე ღვთის სამსახურისათვის მიეძღვნა. მამამ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია ქალიშვილს და მახვილიც კი იშიშვლა მის მოსაკლავად. შემდეგ უშჯულომ ასული მმართველ მარტიანეს მიჰგვარა. მმართველმა ურჩია მოენანიებინა ღმერთისგან განდგომა. პასუხად უფლის რჩეულმა მიუგო: „არა გიცნობიეს, ჰე უღმერთოო, რამეთუ მე სჯულსა ზედა ქრისტესა ვარ და ღმერთნი შენნი ვითარცა დავით წინასწარმეტყველმან დავით თქუა: „პირ აქვს და არა იტყვან, თუალ ასხენ და არა ხედვენ. ემსგავსენდ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვენ მათ“. მაშინ განრისხებულმა მმართველმა ბრძანა მისი წამება. წმ. ბარბარე მამამისის ხელით აღესრულა. როგორც კი დიოსკორემ ასულს მახვილი დასცა, ზეციდან გარდამომხდარი საშინელი ელვა დაატყდა თავს და ერთიანად დასწვა. ასევე დაისაჯა მარტინეც: სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა და მისგან მტვერიც აღარ დარჩენილა.

წმიდა ბარბარეს პატიოსანი ნეშტი ღვთისმოსავმა ვალენტინემ ოლიოპოლში ჩამოასვენა. VI საუკუნეში დიდმოწამის წმიდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს, საიდანაც XII საუკუნეში კიევში იქნა გადასვენებეული.

25 დეკემბერი — აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ილია II-ისა

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის, ილია II (ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი) დაიბადა 1933 წლის 4 იანვარს, ქალაქ ორჯონიკიძეში, გიორგი ღუდუშაურ-შიოლაშვილის და ნატალია კობაიძის ოჯახში.

ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1977 წლიდან.

2010 წლის 21 დეკემბრის სინოდის სხდომის გადაწყვეტილებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულატურა შემდეგნაირად განისაზღვრა: უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის.

უწმინდესს ულოცავენ

25 დეკემბერი, ამ დღეს განსაკუთრებული სიამაყით ივსება ჩვენი გულები. ამ დღეს — 38 წლის წინ 1977 წელს მოხდა უწმინდესისა და უნეტარესის კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ს აღსაყდრება.

1977 წლის 25 დეკემბერს იტვირთა ერის სუიერი წინამძღვრობა და ამ დღიდან ერის სიხარულითა და ტკივილით ცხოვრობს.

განსაკუთრებული სიამაყით, მღელვარებით, ამაღლებული სიხარულით ვეგებებით მოხევეები და განსაკუთრებით სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის პედაგოგები და აღსაზრდელები ამ დღეს, რადგან სწორედ ხევში იშვა მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ქართველი ერისათვის დამაშვრალი საქართველოს პატრიაქრი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი უწმინდესი და უნეტარესი. ქართველი ერის სულიერი მამა, მოძღვარი, ადამიანი, რომელიც მარადჟამს ლოცულობს ჩვენი სულებისათვის.

წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის პედაგოგები და მოსწავლეები უუერთდებით მთელი ქართველი ერის მოლოცვას და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჯანმრთელობით, რადგან ღრმად გვწამს, რომ თქვენი წინამძღვრობით შეძლებს საქართველო გადარჩენას.

ციცინო ღუდუშაური,
გიმნაზიის პედაგოგი

უწმინდესო და უნეტარესო, ღმერთმა დღეგრძელი გამყოფოთ, მთელი ჩემი არსებით ვისურვებდი ისე ყოფილიყოს საქართველოს და ქართველი ერის ბედი, როგორც თქვენს სუფთა და თბილ გულს გაუხარდება. ვფიქრობ, სწორედ ეს იქნება გაბრწყინება. ვისურვებდი ოდესღაც ჩვენც მოგვეხმოს გონებისთვის და ჩვენი სწორი ცხოვრებით თქვენ გაგახაროთ. ჩვენი (ქართველი ერის) სიმტკიცით თქვენ გაგიმრავლოთ წლები ღმერთმა, რათა თქვენს გარეშე არ დავობლდეთ. ამდენი ტკივილის ნაცვლად, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თქვენ გტკიოდათ საქართველოს შემხედვარეს, ვისურვებდი ერის სიძლიერეს, მაშასადამე, თქვენ გახარებას. ეს ისეთი ჯაჭვია, რომლის გაწყვეტა შეუძლებელია მტრის ძალთა მიერ.

ლაშა ჩხვიმიანი

25 დეკემბერი — უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრების დღეა. მე-4 კლასის სახელით ვულოცავთ უწმინდესს აღსაყდრების დღეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მრევლისა და საქართველოს მთლიანობას და ღვთის წყალობას.

IV კლასის სახელით მოსწავლეები: დიტო სუჯაშვილი, ლევან თექთურმანიძე, რუსუდან ტატიშვილი, ლევან ჯამარჯაშვილი, გიორგი ქუშაშვილი, ხატია ხუციშვილი, ლუკა ხუციშვილი, ნიკოლოზ გელაშვილი, ნიკა ქუშაშვილი, ნინო ქირიკაშვილი, ნინო სულუხია, ილია ფიცხელაური, მასწავლებელი მაია ფიცხელაური

უწმინდესო და უნეტარესო, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ აღსაყდრების 38 წლისთავი. დარწმუნებული ვარ, ყურადღებას და ლოცვას არ მოაკლებთ ხევს და ხევში დაარსებულ წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიას. ღმერთმა უფრო გაგაძლიეროთ, ძალ-ღონე და ჯანმრთელობა მოგცეთ, რათა ქართველ ერს უწვენოთ გზა ჭეშმარიტებისა.

უჩა ხუციშვილი

თქვენი და მეუფე იეგუდიელის ლოცვით ხევი ძლიერდება. გიმნაზიაც იმიტომ დააარსეთ, რომ უკეთ ვისწავლოთ ლოცვა, ვიცხოვროთ ეკლესიურად და გვიყვარდეს საქართველო.

შალვა ფიცხელაური

უწმინდესო და უნეტარესო, ჩვენ წილად გვხვდა პატივი, მოგილოცოთ 25 დეკემბერი, თქვენი აღსაყდრების დღე. ეს დღე ჩვენთვის მართლაც საზეიმოა და გისურვებთ ჯანმრთელობას სრულიად საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ირაკლი ბედოევი XI კლასის სახელით

კონკურსში გამარჯვებული

22 ნოემბერს საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ოლიმპიადა სამოქალაქო განათლების ცოდნის გამოსავლინებლად. გამოცდა ჩატარდა კომპიუტერით. რაიონის მასშტაბით პირველ ტურში გაიმარჯვა წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის XII კლასის მოსწავლემ ნანუკა ფიცხელაურმა. გამარჯვებული დაჯილდოვდა სერთიფიკატითა და ფულადი საჩუქრებით.

გაზეთის საშუალებით ვულოცავთ ნანუკას გამარჯვებას და ვუსურვებთ მეორე და მესამე ტურშიც ასეთივე დამაჯერებელი ქულებით გაემარჯვოს და ესახელებინოს მშობლიური გიმნაზია-პანსიონი.

„...ისტორია ხალხის შემოქმედების ნაყოფია...“

ი. ჭავჭავაძე

ისტორია მოიცავს — უდიდეს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების, დიდი ისტორიული ქარტეხილების, მსოფლიო ომების, რევოლუციების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის, სოციალური ილუზიების, შემოქმედებითი შრომის, მოწამეობრივი ცხოვრების, სოციალური და კულტურული დაწინაურების პერიოდებს. შესაბამისად, ისტორიის, როგორც ერთ-ერთი საჭირო და საინტერესო მეცნიერების სწორად აღქმისა და შემოქმედებითი გამოყენების მნიშვნელობა თანდათან უფრო გაიზრდება, თუ ჩვენს მოსწავლეახალგაზრდობას დავაინტერესებთ და დავეხმარებით სასკოლო მასალის ახლებური მეთოდებით შესწავლაში.

თანამედროვე სასწავლო პორცესისათვის საჭიროა და აუცილებელი სხვადასხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს სოციალურ და სამოქალაქო კომპეტენციებს — საკუთარი აზრის დაფიქსირებას და დაცვას, განსხვავებული აზრის პატივისცემას და გათვალისწინებას, ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას, სხვისი უფლებების პატივისცემას, ტოლერანტობას, პრევენციას და კონფლიქტების მოგვარებას; დემოკრატიული პრინციპების აღიარებას და სხვა. თუმცა გაკვეთილი არის ცოცხალი და ამასთანავე ორმხრივი პროცესი და მასწავლებლისთვის სასიხარულო შედეგი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება არც დადგეს — თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამო, მაგრამ თითოეული მოსწავლის მცირედი წარმატებაც კი მასწავლებლის უსაზღვრო სიხარულს იწვევს.

აუცილებელია ითქვას, რომ ჩვენი გიმნაზია-პანსიონის დირექტორი — მეუფე ეგუდიელის დიდი ღვაწლით შექმნილია საუკეთესო სასწავლო გარემო: ნოელი კლასები, ბიბლიოთეკა, ვიდეო-აუდიო მასალა, კომპიუტერები და სხვადასხვა დამხმარე თვალსაჩინო მასალა, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებით არის გათვალისწინებული, რათა ბავშვებმა შეძლონ ინფორმაციების მოძიება, სხვადასხვა ტიპის წერითი თუ ზეპირი დავალებების შესრულება და სხვა.

ჩემთვის, როგორც ისტორიის, ასევე როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეების ინტერესი ამ საგნის მიმართ. მოსწავლეებს აინტერესებთ ადამიანის ადგილის დამკვიდრება საზოგადოებაში, ადამიანის უფლებები და მოვალეობები, მოქალაქის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები და ა. შ.

მახარებს იმის შეგრძნება, რომ საქართველოს თუ მსოფლიო ქვეყნების ისტორიის სწავლებით ჩემს მოსწავლეებს ვუდვივებ პატრიოტიზმის გრძნობას, უვითარდებათ საერთო-ეროვნული ინტერესები, ემპათიის უნარი, რადგან ადამიანების ბედის ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით გააცნობიერონ — რა გადახდათ თავს ამა თუ იმ ეპოქის მსხვერპლთ და პატივისცემა და თანაგრძნობა გამოხატონ წარსული თაობის მიმართ. აგრეთვე აანალიზებენ ისტორიული პიროვნებების, წმინდანად შერაცხული ადამიანების გაწეულ ღვაწლს მთელი ხალხის წინაშე და აფასებენ ამას.

გიმნაზია-პანსიონის ისტორიის მასწავლებელი

მაია ვალიშვილი

„ვუერთდებით ევროპას“

მიმდინარე წლის 30 ოქტომბრიდან საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარეობს ევროკავშირის პროექტის განხორციელება, სახელწოდებით Le-MATH „ვუერთდებით ევროპას“.

პროექტის მიზანია — საქართველომ მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ინოვაციურ მათემატიკურ კონკურსში, რაც ითვალისწინებს მათემატიკის სწავლებას ახალი მეთოდებით.

კონკურსი ცხადდება სამ ეტაპად: სარაიონო ტური, რესპუბლიკური ტური და ევროპის ფინალური ტური, რომელიც ჩატარდება 2015 წლის 25-30 მარტს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში.

რეგიონალური ტურის ჩატარების ვადა იყო 8-დან 13 დეკემბრამდე.

ყაზბეგის რაიონში ამა წლის 11 დეკემბერს დ. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში ჩატარდა რეგიონალური ტური.

ტურში მონაწილეობას იღებდა ყაზბეგის რაიონის 3 სკოლა: დ. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი, სიონის საჯარო სკოლა და გორისციხის საჯარო სკოლა.

კონკურსში იყო სულ 4 ნომინაცია: მათემატიკური — თეატრი, მათემატირკური — ფაქტორი, მათემატირკური — აპლიკაცია, მათემატიკური — პრეზენტაცია.

გიმნაზია-პანსიონმა მონაწილეობა მიიღო ორ ასაკობრივ ჯგუფში და 2 ნომინაციაში. მათემატიკური ფაქტორი და მათემატიკური თეატრი.

სიონის საჯარო სკოლამ ერთ ასაკობრივ ჯგუფში და ერთ ნომინაციაში წარმოადგინა მათემატიკური — თეატრი. გორისციხის საჯარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო ერთ ასაკობრივ ჯგუფში და ერთ ნომინაციაში, მათემატიკური — თეატრი.

ჟიურიმ მიიღო გადაწყვეტილება და რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობის უფლება მიანიჭა გიმნაზია-პანსიონის V-VI კლასების მათემატიკურ თეატრს „მოგზაურობა მათემატიკის სამყაროში“ და გიმნაზია-პანსიონის X კლასების მათემატიკურ-თეატრს „მათემატიკური ცელქობები“.

შესაბამისი უწყისები და ვიდეო ჩანაწერები გადაგზავნილი იქნა კონკურსის ორგანიზატორთან საქართველოში, ასოციაცია „ბალავარში“.

პროექტის „ვუერთდებით ევროპას“ სპიკერი, გიმნაზია-პანსიონის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი ნაზი ჩოფიკაშვილი

XI კლასის ღონისძიება — „გიორგობა“

გიმნაზია-პანსიონის ქართული ენის მასწავლებლის მაკა ქავთარაშვილის ხელმძღვანელობით ჩვენმა კლასმა გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით მოვაწყეთ გასვლითი ღონისძიება ხევის სოფლებში. გავესაუბრეთ ხევის უხუცესებს — იორამ ღუდუშაურს და გრიშა ქუქაშვილს. სიონში ელგუჯა ღუდუშაურს. მოძიებული მასალის მიხედვით კი გიმნაზიაში გავაკეთეთ პრეზენტაცია.

როგორც ცნობილია, მართლმადიდებელი ქრისტიანები გამორჩეული სასოებით და სიყვარულით ვევედრებით წმ. გიორგის, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე მოფენილია მის სახელზე აგებული ეკლესიებით თუ ხატსალოცავებით. ვახუშტის თქმით, საქართველოს მოქცევის შემდეგ „ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ მოწამისა გიორგისანი. ყოველსა ივერსა შინა, რამეთუ არა არიან ბორცვნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანი“. ევროპელები ქართველებს გიორგიანელებს გვეძახიან. ალექსი მესხიშვილის სიტყვით: „ხოლო ჩვენ ქართველნი ვდღესასწაულობთ სხვათა და სხვათა დღეთა, შემდგომად აღვსებისა ყოველთა კვირიაკეთა“. ამის გამო დამკვიდრდა გამოთქმა „365 წმინდა გიორგი“.

დავინტერესდით, რატომ არის ქართველი კაცი ასეთი დიდი სიყვარულით განმსჭვალული ამ წმინდანის მიმართ. ჩვენ მიერ მოძიებულ, შეკრებილ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოსთვის წმინდა გიორგი სიმბოლოა მებრძოლი ქრისტიანობისა, სიმბოლოა თვით საქართველოსი, გამუდმებით მტერთან მებრძოლის მემატიანენი თავის ისტორიულ თხზულებებში წერდნენ, თუ როგორ იხილვებოდა ქართული ლაშქრის წინამძღვრად წმინდა გიორგი. ის ჩვენი ერის მფარველია. ღონისძიების დროს შევძელით მოგვეძია ინფორმაცია, თუ როგორ აღინიშნება გიორგობა ხევში. შეძლებისდაგვარად შევკრიბეთ არაერთი საინტერესო ცნობა, მოვინახულეთ და ხევის უხუცესებისაგან ჩავიწერეთ, თუ რა ტრადიციები არსებობდა და არსებობს გიორგობასთან დაკავშირებით. სნოში — დარყის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი, გარბანში — ე. წ. „ბებერი წმინდა გიორგი“, სიონში — უძველესი სალოცავი გიორგობისა და ასევე, ღონისძიებაზე დასმწრე საზოგადოებისაგანაც მივიღეთ მცირე, მაგრამ საჭირო ცნობები.

ძალიან საინტერესო იყო ღონისძიების მასალის მოძიების პროცესი, ურთიერთთანაშშრომლობა და, ვთვლით, რომ ნაყოფიერი იყო ჩვენი გასვლითი ღონისძიება.

XI კლასის სახელით თეა ალიბეგაშვილი

„ჩვენ გვიყვარს კითხვა“

ჩვენ ვკითხულობთ მოთხრობას ნათია მაქაცარიას „სესილია და ნატვრის ხე“. ამ წიგნში მოთხრობილია ერთი გოგონას შესახებ, ამ გოგონას სესილია ქვია. მას ლაპარაკი უჭირდა და პატარაობიდანვე მის შშობლებს ექიმთან დაყავდათ, სესილიამ არ იცოდა, რომ სრულიად ჯანმრთელი დაიბადა და სამი წლის ასაკში დაკარგა მეტყველების უნარი.

სესილიას მეგობრები არ ყავს, რადგან მხოლოდ თავის შშობლებს ელაპარაკება. შეიძლება მეგობრად ჩაითვალოს მისი მოხუცი მეზობელი, რომელიც სესილიას არც ასაკით შეესაბამება და არც ესმის მისი, რადგან ბებია ყრუ არის. სწორედ ამიტომ გოგონა მოხუცთან საუბრის დროს არ ნერვიულობდა და როდესაც არ ნერვიულობდა, ენასაც არ უკიდებდა და უამრავ რამეს უამბობდა მოხუცს.

სესილია ელაპარაკებოდა თავის ნახატებსაც, რომლებითაც აჭრელებული იყო მთელი სახლი. სესილიას ხატვის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. სესილია ხატავდა იმით, რაც რაიმეზე გასმით კვალს ტოვებდა.

სესილია მე-8 კლასელია და არასდროს არ დალაპარაკებია კლასელებს, არც დაფასთან გამოსულა როდისმე.

როცა სესილია პირველ კლასში მივიდა, ისე ინერვიულა, რომ ერთი კვირა ოთახიდან არ გამოსულა და არც უჭამია.

ბოლოს დედა მივიდა სკოლაში და დირექტორს სთხოვა:

— ჩემ შვილს ლაპარაკი უჭირს და ნუ აიძულებთ ხმის ამოღებას, გაკვეთილზე ყურადღებით მოგისმენთ და დავალებას წერილობით ჩაგაბარებთო.

სკოლის დირექტორმა რომ ნახა სესილია, ისე მოეწონა, რომ დათანხმდა დედის თხოვნას.

სესილია დავალების დაწერასთან ერთად, ხატავდა კიდეც, რომ მისი დავალება მრაალფეროვანი ყოფილიყო. ამიტომ მასწავლებლები მოუთმენლად ელოდნენ მის მომდევნო ნამუშევარს. სესილიას ამასთან ერთად ძალიან უყვარდა ცურვა. ცუდი ამინდიც ვერ უშლიდა ხელს.

ერთ დღეს სესილიამ სკოლაში დაინახა მისი მერხის კუთხეში დახატული პეპელა, რომელიც გაცოცხლდა და სესილიას უთხრა: სადამოს ტყეში მოდიო.

გაკვეთილების დასრულების შემდეგ სესილიამ ჩანთა მოიკიდა და სახლში წავიდა.

გაკვეთილები მოამზადა თუ არა, მაშინვე ტყეში წავიდა. ცოტა ღრმად რომ შევიდა ტყეში, ის პეპელა დაინახა, რომელმაც უთხრა, რომ სადამოს ტყეში მოსულიყო. პეპელამ კი უთხრა სესილიას:

— წმიმყევი.

სესილიაც წაჰყვა, ცოტა ხნის შემდეგ პეპელამ სესილია ისეთ ხესთან მიიყვანა, რომელიც სიზმარში ბევრჯერ ენახა.

მოთხრობის ამ მონაკვეთში ავტორი გვიყვება გოგონას შესახებ, რომელიც თავისი ოცნებებით ცხოვრობს. მისი ოცნებით ცოცხლდებიან მის მიერ დახატული ნახატები, ესაუბრებიან მას და უვსებენ იმ დანაკლისს, რასაც მეგობრებთან ურთიერთობით უნდა ღებულებოდეს.

ძალიან მაინტერესებს, როგორ გაგრძელდება თხრობა და როგორ წარმიმართება სესილიას ცხოვრება.

მოუთმენლად ველი მომავალი კითხვის საათს.

ლუკა მაისურაძე
VI კლასი

დედა

დედა ძლიერი
დედა მომთმენი
დედა თბილი და დედა მშვიდი
სულ ოთხი ასო, ერთი სიტყვა
მაგრამ ჩვენთვის მთავარი პირი.
ყველაზე ახლო,
ყველაზე ტკბილი,
ჩვენი ცხოვრების მთავარი გმირი,
მუდამ ყოველთვის ჩვენთან მყოფელი,
მუდამ ყოველთვის ჩვენთვის მლოცველი.

გიმნაზიის VIII კლასის მოსწავლე
სოფო ჯეჯელავა

შეჯიბრი ფრენბურთში

წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდების სპორტში ჩაბმას. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი გიმნაზიის სპორტული დარბაზი მოზარდებს შესაძლებლობას აძლევს გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. ბავშვები აქტიურად არიან ჩაბმულები სპორტულ ცხოვრებაში. გიმნაზიის მოსწავლეები მონაწილეობენ სარაიონო რაგბის გუნდში.

28-29 ნოემბერს გიმნაზიის სპორტულ დარბაზში მეუფე იეგუდიელის, გიმნაზიის დირექციისა და დაბა სტეფანწმინდის სასპორტო სკოლის ხელმძღვანელის ვახტანგ ალიბეგაშვილის ინიციატივით ჩატარდა სარაიონო შეჯიბრი ფრენბურთში. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ჟაზბეგის ტურისტულმა სასტუმრომ „რუმს“-მა გამარჯვებული გუნდებისათვის გამოყო ფულადი ჯილდო.

შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობდნენ წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეები და რაიონის საჯარო სკოლები.

გამოვლინდა გამარჯვებულები:

I ადგილზე გავიდა ჟაზბეგის საჯარო სკოლა

II ადგილი დაიკავეს წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებმა

III ადგილი მოიპოვეს სნოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

I-II ადგილზე გასულმა მოსწავლეებმა დაიმსახურეს როგორც ფულადი ჯილდო, ასევე სიგელები. მესამე ადგილზე გასული გუნდი დაჯილდოვდა სიგელით.

ოთარ თურქიაშვილი

მხიარული ჩიტი



ნახატი ლევან თექთურმანიძის

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური, უჩა ხუციშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი